30 დეკემბერი, 2025

თანხმობის წერილი

შპს „კენ კონსთრაქშენი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 405038418

დირექტორი: ლადო წერეთელი
პირადი ნომერი: 01024018854

მისამართი:
საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი,
რამაზ ჩხიკვაძის ქ. №1,
კომერციული ფართი №4/1, სართული 4 (II ბლოკი)

წინამდებარე წერილით შპს „კენ კონსთრაქშენი“ ადასტურებს, რომ ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №65-ისა და №67-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.10.13.041.062.

აღნიშნული სამშენებლო პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ქვაბულის გაჭრა მიმდებარე მიწის ნაკვეთის ფარგლებში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №65-ის მიმდებარედ და აქვს საკადასტრო კოდი: 01.10.13.041.090.

ვაცხადებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით №892025090701 შპს „კენ კონსთრაქშენის“ სახელზე დარეგისტრირდა საკუთრების უფლება ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.13.041.090).

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები არ არის გაერთიანებული ერთ საკადასტრო კოდში, ორივე მათგანი წარმოადგენს შპს „კენ კონსთრაქშენის“ საკუთრებას.

შესაბამისად, შპს „კენ კონსთრაქშენი“, როგორც ორივე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, საკუთარ თავს აძლევს სრულ და უპირობო თანხმობას, რომ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 01.10.13.041.090, განხორციელებული ქვაბულის გაჭრა ჩაითვალოს კანონიერად სამშენებლო პროექტის ფარგლებში და აღნიშნული მიწის ნაკვეთი გამოყენებულ იქნეს აღნიშნული მიზნით მუდმივ საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობისა და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად.

დირექტორი: _____
ლადო წერეთელი